

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № 8

2020 წლის 8 მაისი

ქ. თერჯოლა

**„თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მეორე ნაწილის, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4, მე-6 პუნქტის და 23-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

„თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის №27 დადგენილებაში (ვებგვერდი სსმ, 31/12/2019 სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.126.016318) შეტანილ იქნეს ცვლილება და თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

**თავი I. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები**

**მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი**

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

*ათას ლარში*

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
<b>I. შემოსავლები</b>	15 257,6	<b>17 878,2</b>	<b>11 014,4</b>	<b>6 863,8</b>	<b>18 356,4</b>	<b>10 962,8</b>	<b>7 393,6</b>
გადასახადები	2 511,3	<b>10 075,6</b>	10 075,6	-	<b>10 185,8</b>	10 185,8	-
გრანტები	11 897,6	<b>6 863,8</b>	-	6 863,8	<b>7 393,6</b>	-	7 393,6
სხვა შემოსავლები	848,7	<b>938,8</b>	938,8	-	<b>777,0</b>	777,0	-
<b>II. ხარჯები</b>	<b>8 991,2</b>	<b>10 478,0</b>	<b>9 619,9</b>	<b>858,1</b>	<b>11 907,8</b>	<b>10 933,2</b>	<b>974,6</b>
შრომის ანაზღაურება	1 953,5	<b>2 034,1</b>	1 952,7	81,4	<b>2 033,0</b>	1 943,0	90,0
საკონელი და მომსახურება	1 032,5	<b>1 659,1</b>	1 079,6	579,5	<b>2 273,1</b>	1 458,5	814,6
პროცენტი	53,2	<b>29,1</b>	29,1	-	<b>30,0</b>	30,0	-
სუბსიდიები	4 853,6	<b>5 590,9</b>	5 521,4	69,5	<b>6 155,0</b>	6 086,0	69,0
გრანტები	0,7	5,8	5,8	-	10,0	10,0	-



სოციალური უზრუნველყოფა	851,9	872,2	871,7	0,5	973,6	972,6	1,0
სხვა ხარჯები	245,8	286,8	159,6	127,2	433,1	433,1	-
<b>III. საოპერაციო სალდო</b>	<b>6 266,4</b>	<b>7 400,2</b>	<b>1 394,5</b>	<b>6 005,7</b>	<b>6 448,6</b>	<b>29,6</b>	<b>6 419,0</b>
<b>IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>5 492,7</b>	<b>8 956,8</b>	<b>699,3</b>	<b>8 257,5</b>	<b>8 630,7</b>	<b>2 875,5</b>	<b>5 755,2</b>
ზრდა	5 588,2	9 376,0	1 118,5	8 257,5	8 730,7	2 975,5	5 755,2
კლება	95,5	419,2	419,2		100,0	100,0	
<b>V. მთლიანი სალდო</b>	<b>773,7</b>	<b>- 1 556,6</b>	<b>695,2</b>	<b>- 2 251,8</b>	<b>- 2 182,1</b>	<b>- 2 845,9</b>	<b>663,8</b>
<b>VI. ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>773,7</b>	<b>- 1 585,6</b>	<b>666,2</b>	<b>- 2 251,8</b>	<b>- 2 232,1</b>	<b>- 2 895,9</b>	<b>663,8</b>
ზრდა	773,7	-	-	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	773,7	-			-		
კლება	-	1 585,6	- 666,2	2 251,8	2 232,1	2 895,9	- 663,8
ვალუტა და დეპოზიტები	-	1 585,6	- 666,2	2 251,8	2 232,1	2 895,9	- 663,8
<b>VII. ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>-</b>	<b>- 29,0</b>	<b>- 29,0</b>	<b>-</b>	<b>- 50,0</b>	<b>- 50,0</b>	<b>-</b>
კლება	-	29,0	29,0	-	50,0	50,0	-
საგარეო	-	29,0	29,0	-	50,0	50,0	-
სესხები	-	29,0	29,0	-	50,0	50,0	-
<b>VIII. ბალანსი</b>	<b>0,0</b>	<b>-</b>	<b>- 0,0</b>	<b>-</b>	<b>- 0,0</b>	<b>-</b>	<b>-</b>

## მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი		2019 წლის ფაქტი		2020 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
<b>შემოსულობები</b>	<b>15 353,1</b>	<b>18 297,4</b>	<b>11 433,6</b>	<b>6 863,8</b>	<b>18 456,4</b>	<b>11 062,8</b>	<b>7 393,6</b>
შემოსავლები	15 257,6	17 878,2	11 014,4	6 863,8	18 356,4	10 962,8	7 393,6
არაფინანსური აქტივების კლება	95,5	419,2	419,2		100,0	100,0	
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	-	-			-		
ვალდებულებების ზრდა	-	-			-		



გადასახდლები	14 579,4	19 883,0	10 767,4	9 115,6	20 688,5	13 958,7	6 729,8
ხარჯები	8 991,2	10 478,0	9 619,9	858,1	11 907,8	10 933,2	974,6
არაფინანსური აქტივების ზრდა	5 588,2	9 376,0	1 118,5	8 257,5	8 730,7	2 975,5	5 755,2
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების კლება	-	29,0	29,0	-	50,0	50,0	-
ნაშთის ცვლილება	773,7	- 1 585,6	666,2	- 2 251,8	- 2 232,1	- 2 895,9	663,8

### მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 18356.4 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	15 257,6	17 878,2	11 014,4	6 863,8	18 356,4	10 962,8	7 393,6
გადასახადები	2 511,3	10 075,6	10 075,6	-	10 185,8	10 185,8	-
გრანტები	11 897,6	6 863,8	-	6 863,8	7 393,6	-	7 393,6
სხვა შემოსავლები	848,7	938,8	938,8	-	777,0	777,0	-

### მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 10185.8 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
გადასახადები	2 511,3	10 075,6	10 075,6	-	10 185,8	10 185,8	-
საშემოსავლო გადასახადი	779,5	-	-	-	-	-	-
დამატებითი ღირებულების გადასახადი	-	8 062,9	8 062,9	-	8 335,8	8 335,8	-



დამატებითი ღირებულების გადასახადი	-	8 062,9	8 062,9		8 335,8	8 335,8	
ქონების გადასახადი	1 731,8	2 012,7	2 012,7	-	1 850,0	1 850,0	
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1 270,0	1 738,4	1 738,4		1 490,0	1 490,0	
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	78,0	- 105,6	- 105,6		-	-	
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	19,2	16,0	16,0		10,0	10,0	
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	68,3	69,3	69,3		60,0	60,0	
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	296,3	294,6	294,6		290,0	290,0	

## მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 7393.6 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
<b>გრანტები</b>	<b>11 897,6</b>	<b>6 863,8</b>	<b>7 393,6</b>
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	-		
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	11 897,6	6 863,8	7 393,6
გათანაბრებითი ტრანსფერი	6 064,7	-	
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	160,0	1 346,0	1 400,7
კაპიტალური ტრანსფერი	5 582,0	5 477,9	4 992,9
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის	5 358,1	4 787,9	4 302,9
სკოლების სარეაბილიტაციო ღონისძიებები	223,9		
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		690,0	690,0
სპეციალური ტრანსფერი მათ შორის :	90,9	39,9	1 000,0
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	90,9	39,9	1 000,0

## მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 777.0 ათასი ლარით:

ათას ლარში



დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>848,7</b>	<b>938,8</b>	<b>777,0</b>
შემოსავლები საკუთრებიდან	497,4	429,8	342,0
პროცენტი	126,2	155,9	82,0
რენტა	371,2	273,9	260,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	94,7	116,4	105,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	80,4	100,3	95,0
სანებართვო მოსაკრებელი	13,4	17,8	15,0
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0,1		
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,4		
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	66,5	82,5	80,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	14,3	16,1	10,0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	229,5	261,7	250,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	27,1	130,9	80,0

## მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 11907.8 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
<b>ხარჯები</b>	<b>8 991,2</b>	<b>10 478,0</b>	<b>9 619,9</b>	<b>858,1</b>	<b>11 907,8</b>	<b>10 933,2</b>	<b>974,6</b>
შრომის ანაზღაურება	1 953,5	2 034,1	1 952,7	81,4	2 033,0	1 943,0	90,0
საქონელი და მომსახურება	1 032,5	1 659,1	1 079,6	579,5	2 273,1	1 458,5	814,6
პროცენტები	53,2	29,1	29,1	-	30,0	30,0	-
სუბსიდიები	4 853,6	5 590,9	5 521,4	69,5	6 155,0	6 086,0	69,0
გრანტი	0,7	5,8	5,8	-	10,0	10,0	-
სოციალური უზრუნველყოფა	851,9	872,2	871,7	0,5	973,6	972,6	1,0
სხვა ხარჯები	245,8	286,8	159,6	127,2	433,1	433,1	-



## მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 8630.7 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 8730.7 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 100.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
<b>01 00</b>	<b>მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები</b>	<b>41,4</b>	<b>25,5</b>	<b>83,1</b>
01 01	საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	41,4	25,5	83,1
<b>02 00</b>	<b>ინფრასტრუქტურის განვითარება</b>	<b>5 456,6</b>	<b>7 602,6</b>	<b>8 056,5</b>
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	3 706,9	4 496,1	4 351,5
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1 665,7	2 169,4	1 009,5
02 03	გარე განათება	4,4	7,5	30,0
02 04	კომუნალური მეურნეობის განვითარება	79,6	929,6	1 376,2
02 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	-	-	719,3
02 06	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	-	-	570,0
<b>03 00</b>	<b>დასუფთავება და გარემოს დაცვა</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	-	-	-
03 05	მდინარეზე ნაგვის დამჭერის მოწყობა	-	-	-
<b>04 00</b>	<b>განათლება</b>	<b>64,1</b>	<b>938,9</b>	<b>580,5</b>
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	-	-	-
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	64,1	207,1	26,1
04 03	საშუალო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება	-	731,8	554,4
<b>05 00</b>	<b>კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	-	-	-
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	-	-	-
<b>06 00</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა</b>	<b>26,1</b>	<b>146,3</b>	<b>10,6</b>
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	26,1	146,3	10,6
	<b>სულ არაფინანსური აქტივების ზრდა</b>	<b>5 588,2</b>	<b>8 713,3</b>	<b>8 730,7</b>



დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	95,5	419,2	100,0
მირითადი აქტივები	75,7	382,5	80,0
არაწარმოებული აქტივები	19,8	36,7	20,0
მიწა	19,8	36,7	20,0

## მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რეადაქციით:

ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 915,4	2 972,3	3 207,6
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 915,4	2 972,3	3 127,6
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 848,5	2 926,3	3 076,6
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	66,9	46,0	51,0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	-	-	80,0
7.2	თავდაცვა	111,8	123,0	125,0
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	111,8	123,0	125,0
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	3 706,9	4 496,1	4 456,5
7.4.5	ტრანსპორტი	3 706,9	4 496,1	4 456,5
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3 706,9	4 496,1	4 456,5
7.4.5.5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	-	-	-
7.5	გარემოს დაცვა	1 256,0	1 487,3	1 740,0
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	1 256,0	1 487,3	1 740,0
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	2 045,0	4 154,6	4 216,1
7.6.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	156,0	1 078,4	1 478,3
7.6.3	წყალმომარაგება	1 691,1	2 200,1	1 064,5
7.6.4	გარე განათება	197,9	204,4	275,0



7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	-	671,7	1 398,3
7.7	<b>ჯანმრთელობის დაცვა</b>	<b>112,2</b>	<b>241,1</b>	<b>126,6</b>
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	112,2	241,1	126,6
7.8	<b>დასვენება, კულტურა და რელიგია</b>	<b>1 345,7</b>	<b>1 402,2</b>	<b>1 625,0</b>
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	457,8	474,2	540,0
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	791,2	823,5	950,0
7.8 3	ტელერადიომუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	45,4	48,3	55,0
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	51,3	56,2	80,0
7.9	<b>განათლება</b>	<b>2 276,0</b>	<b>4 132,1</b>	<b>4 130,1</b>
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	2 088,3	2 634,1	2 536,1
7.9 2	ზოგადი განათლება	187,7	1 498,0	1 594,0
7.9 2 3	საშუალო ზოგადი განათლება	187,7	1 498,0	1 594,0
7 10	<b>სოციალური დაცვა</b>	<b>810,4</b>	<b>874,3</b>	<b>1 061,6</b>
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	810,4	874,3	1 061,6
	<b>სულ</b>	<b>14 579,4</b>	<b>19 883,0</b>	<b>20 688,5</b>

## მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვროს 6448.6 ათასი ლარით, ხოლო მთლიანი სალდო 2182.1 ათასი ლარით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	6 266,4	7 400,2	6 448,6
მთლიანი სალდო	773,7	- 1 556,6	- 2 182,1

## მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 2232.1 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა





ფინანსური აქტივების ცვლილება	773,7	-	1 585,6	-	2 232,1
ზრდა	773,7		-		-
ვალუტა და დეპოზიტი	773,7		-		-
კლება	-		1 585,6		2 232,1
ვალუტა და დეპოზიტი	-		1 585,6		2 232,1

ფინანსური აქტივების კლება 2232.1 ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სახაზინო არნგარიშზე არსებულ თავისუფალ ნაშთს, რომლის გამოყენებაც მოხდება 2020 წლის განმავლობაში.

## მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს - 80.0 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2016 წელს მიღებული სესხის დაფარვას. 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით თერჯოლის მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 495,4 ათას ლარს, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იგი იქნება 415,4 ათასი ლარი.

## თავი II. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

### მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 7322.6 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამები/ ქვეპროგრამები/ და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	8 672,6
02 01	გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი	4 456,5
02 02	წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1 064,5
02 03	გარე განათება	275,0
02 04	კომუნალური მეურნეობის განვითარება	1 478,3
02 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	728,3
02 06	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	670,0



პროგრამის დასახელება	კოდი	<b>გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი</b>	დაფინანსება
	02 01		2020 წელი ათას ლარში
			<b>4456,5</b>
პროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახური.		
პროგრამის აღწერა	<p>საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად მიმდინარეობს. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციას (ე.წ. ორმული შეკეთება); არასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მოშანდაკებას; სტიქიური მოვლენების პრევენციის მიზნით სამუშაოების ჩატარებას.</p> <p>სამუშაოები შესაძლებელია განხორციელდეს საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებზეც წლის განმავლობაში გამოიკვეთება სამუშაოების შესრულების აუცილებლობა.</p> <p>რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თერჯოლის მუნიციპალიტეტს 2020 წელს გამოეყო გზების რეაბილიტაციისათვის დაფინანსება 2540,4 ათასი ლარი. მათ შორის: სოფელ ქვედა სიმონეთში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 444,2 ათასი ლარით. სოფ. ნახშირღელეში ნიკოლაძეების უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 150,1 ათასი ლარით და სოფ. ვარდიგორა-ჯგლიათის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 596,1 ათასი ლარით. სოფელ ალისუბანი-სკანდის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 300,0 ათასი ლარით; ქ.თერჯოლაში გოფანდის ეკლესიასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 300,0 ათასი ლარით; სოფ. რუფოთი-ჩხარის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 450,0 ათასი ლარით; სოფ. ნახშირღელეში ხუჯაძეები-ჩუბინიძეების უბანთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 320,0 ათასი ლარით.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ქ. თერჯოლაში ასევე სოფლების დამაკავშირებელი გზებს ჩატარდა მიმდინარე შეკეთება (ორმული სამუშაოები, მოხრეშვა). შესრულებული სამუშაოები უსაფრთხის გახდის ამ გზებზე გადაადგილებას. 2020 წელს რეაბილიტირებული გზებით ისარგებლებს ადგილობრივი ქალაქ თერჯოლის და სოფლების მოსახლეობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია</b>	დაფინანსება
	02 02		ათას ლარში
			<b>564,6</b>
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)ივ -თერჯოლის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური ; სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახური.		
პროგრამის აღწერა	<p>ქალაქ თერჯოლის გარდა 18 ადმინისტრაციულ ერთეულში ხორციელდება წლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები კერძოდ: არსებული წყლის სისტემის მაგისტრალის გაწმენდა და დაზიანების აღმოფხვრა. რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში შეძენილია წყლის ტუმბო და გენერატორი. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა;</li> <li>- ამორტიზებული და დაზიანებული ტუმბოების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება;</li> <li>- საჭიროების შესაბამისად წყლის ახალი ტუმბოების შექმნა.</li> </ul> <p>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება 1 სამტატო ერთეული და 4 შტატგარეშე თანამშრომლის შრომის ანაზღაურების ხარჯები შინაარსის ტიპის მიხედვით წყლის სისტემების ექსპლოატაციის ქვეპროგრამა მიეკუთვნება მომსახურების მიწოდების ტიპის ქვეპროგრამას, პროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწევა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას.</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სისტემის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თერჯოლის მუნიციპალიტეტს 2020 წელს გამოეყო წყლის სისტემების მშენებლობა რეაბილიტაციისათვის დაფინანსება 820,0 ათასი ლარი. რომლითაც მოეწყობა სოფელ ზედა სიმონეთის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის უწყვეტი წყალმომარაგება. უწყვეტი წყალმომარაგებით მოსარგებლე ოჯახების ზრდა.		



პროგრამის დასახელება	კოდი	<b>გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია ექსპლოატაცია</b>	დაფინანსება
			ათას ლარში
	<b>02 03</b>		<b>275,0</b>
პროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახური. ა(ა)იპ -თერჯოლის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური ; საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური		
პროგრამის აღწერა	<p>ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. თერჯოლაში და 18 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში), გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 80%. გარე განათების სისტემა მოიცავს 3022-ზე მეტ განათებისა და ელექტროგაყვანილობის ბოძს, 3392-ზე მეტ სანათ წერტილს, 56400 გრძივ მეტრზე მეტ სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. პროგრამის ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 120,0 ათასი ლარი ყოველწლიურად) ხმარდება მოხმარებული ელექტროენერჯის ანაზღაურებას.</p> <p>პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია:რეაბილიტაციას</li> <li>- კაპიტალური დაზანდებები გარე განათების სფეროში.</li> </ul> <p>გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული ხასიათის, ასევე - მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება-გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი - გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციას (მ.შ. მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას). ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლოატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო ინფრასტრუქტურულ ნაწილში - მრავალწლიანი.</p> <p>2020 წლის ბიუჯეტიდან ასიგნებები გამოყოფილია მხოლოდ გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ქვეპროგრამაზე. ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, ხოლო კაპიტალური დანახარჯები უმეტესწილად გაიწევა ა(ა)იპის მიერ.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათება ქსელი განათებული იქნება სრულად. ფეხით-მოსიარულეთა და სატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხო გადაადგილება დღე-ღამის ნებისმიერ დროს		

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>კომუნალური მეურნეობის განვითარება</b>	დაფინანსება
			ათას ლარში
	<b>02 04</b>		<b>1478,3</b>
პროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახური.		
პროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიის კეთილმოწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საზოგადოებრივი ობიექტების კეთილმოწყობა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებისა და შენობების სახურავების რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.</p> <p>ამ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ადმინისტრაციული სხვადასხვა დანიშნულების შენობების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, რომლითაც თავიდან იქნება აცილებული შემდგომი დაზიანებები და დამატებითი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა. რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თერჯოლის მუნიციპალიტეტს 2020 წელს გამოეყო ქალაქ თერჯოლის ცენტრის კეთილმოწყობისათვის დაფინანსება 944.5 ათასი ლარი.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების გაუმჯობესება.		

	კოდი		დაფინანსება
--	------	--	-------------



პროგრამის დასახელება		სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	ათას ლარში
	02 05		728,3
პროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახური.		
პროგრამის აღწერა	სოფლების ცხოვრების დონის ამაღლებისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარების მიზნით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, გამოყოფილი დაფინანსებიდან განხორციელდება მოსახლეობის მიერ არჩეული პროექტების დაფინანსება.		
მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა		

პროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	დაფინანსება
			ათას ლარში
	02 06		670,0
პროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახური.		
პროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.</p> <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით. პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადდება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდერტებს).		

#### მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1640.0 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამები/ ქვეპროგრამები/ და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1740,0



03 01	დასუფთავება და კეთილმოწყობა	1740,0
-------	-----------------------------	--------

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და კეთილმოწყობა	დაფინანსება
			ათას ლარში
	03 01		1740,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ -თერჯოლის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური ; სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახური.		
პროგრამის აღწერა	ქუჩების , მოედნების , სკვერების,შენობების საზოგადოებრივი ადგილების დარგვა- დასუფთავება,საყოფაცხოვრებო მყარი ნარჩენების შეგროვება, გაუნებელყოფა -განთავსების ადგილზე ტრანსპორტირება. ქუჩების, სკვერების და პარკების მოვლა- პატრონობა და გამწვანება, გარე განათების მოწყობა, მოვლა-პატრონობა და რეგულირება.სანიაღვრე არხების მოწყობა და სრულფასოვნად ფუნქციონირების უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების დაცვა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა ნაგებობების მიმდინარე ტერიტორიის, ტროტუარების, კომუნიკაციების, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის, შეკეთების და ექსპლუატაციის უზრუნველყოფა,საუბნო გზების მოწყობა ინერტული მასალით, ბოგირების, ცხაურების მოწყობა, მოვლა- პატრონობა,წყლის მომარაგების/ ტექნიკური წყალი/ სისტემის შეკეთებითი და სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება-მშენებლობა, ზამთრის სეზონზე ქუჩების და ტროტუარების თოვლის საფარისაგან გაწმენდა.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სუფთა მოწესრიგებული გარემო, მოწესრიგებული დასუფთავებული ტერიტორია, ესტეტიკური ქალაქი, გარე განათების გამართული ქსელი		

## მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 4130.1 ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამები/ ქვეპროგრამები/ და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
04 00	განათლება	4 130,1
04 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვა	2 510,0
04 01 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	90,0
04 01 02	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები	2 420,0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	26,1
04 03	საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება	1 360,0
04 04	სკოლისგარეშე განათლება	234,0



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვა</b>	დაფინანსება
			ათას ლარში
	<b>04 01 01</b>		<b>90,0</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი,,		
ქვეპროგრამის აღწერა	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს.		
მოსალოდნელი შედეგი	თერჯოლის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები</b>	დაფინანსება
			ათას ლარში
	<b>04 01 02</b>		<b>2420,0</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი,,		
ქვეპროგრამის აღწერა	ა(ა)იპ „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი ,, მოიცავს ცენტრის 26 საბავშვო ბავშვ-ბაღს სადაც ფუნქციონირებს 54 სააღმზრდელო ჯგუფი. საბავშვო ბავშვ-ბაღში დაწყებით განათლებას იღებს 1200 აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის ბავშვების კვებას, მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს სუბსიდიის მუხლით. ასევე განხორციელდება არსებული ბაღების შენობების რეაბილიტაცია. საბავშვო ბავშვ-ბაღების დაფინანსება ხელს შეუწყობს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ინტელექტუალურ-ფიზიკურ განვითარებას, შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარების ფორმირებას.		
მოსალოდნელი შედეგი	პარმონიულად განვითარებული და დაწყებითი საფეხურის პირველი კლასისათვის მომზადებული ბავშვები		

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა</b>	დაფინანსება
			ათას ლარში
	<b>04 02</b>		<b>26,1</b>
პროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახური.		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ბაღების შენობების რეაბილიტაცია და ახალი ბაღების		



მშენებლობა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წინა წლებში აღებული ვალდებულებების შესრულება.

მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებული საბავშვო ბაღები , მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა
--------------------	--

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება</b>	დაფინანსება
	<b>04 03</b>		ათას ლარში
			<b>1360,0</b>
პროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახური.		
პროგრამის აღწერა	ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წინა წლებში აღებული ვალდებულებების შესრულება.		
მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტით უზრუნველყოფილი მოსწავლეები		

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>სკოლისგარეშე განათლება</b>	დაფინანსება
	<b>04 04</b>		ათას ლარში
			<b>234,0</b>
პროგრამის განმახორციელებელი	ა( ა) იპ თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი		
პროგრამის აღწერა	ა(ა)იპ თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი, არის არაფორმალური სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ემსახურება 6-21 წლამდე მოსწავლე-ახალგაზრდობას, რომლის ფუნდამენტური პრინციპია ნებაყოფლობითობა და ხელმისაწვდომობა, რაც სათანადო პირობების შესაბამისი სტრატეგიული, პერსპექტიული გეგმებით, პროგრამებით და ქვეპროგრამებით ხორციელდება. პროგრამული ბიუჯეტიდან გამომდინარე 2018-19 სასწავლო წელს „ცენტრში“ მუშაობდა 4 ქვეპროგრამა, რომელშიც გაერთიანებული იყო 26 კლუბი და წრე . 2018-19 სასწავლო წლის პროგრამული ბიუჯეტი დაგეგმილი და ორიენტირებული იყო „ცენტრში“ მოსწავლეთა ჩართულობის 20 % ზრდასა და მუშაობის ხარისხის კოეფიციენტის ამაღლებაზე. რასაც „ცენტრმა“ წარმატებით გაართვა თავი, მოსწავლეთა რაოდენობა-828, სასწავლო-შემოქმედებით მუშაობაში ჩართულობა გაიზარდა 20%-ით. ეფასდა ხარისხის მაჩვენებელი, სასწავლო პროცესში შესაბამისი ინდიკატორებით ცალკეულ კლუბებსა და წრეებში, რაც აისახა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე „ცენტრის“ მუშაობის შეფასებისას, რომელსაც საფუძვლად დაედო, კოორდინატორთა, მენეჯერთა, მონიტორინგის ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიშები, შეფასებები. მოსწავლეთა აქტიური, წარმატებული მუშაობა შესაბამისად აისახა სტატისტიკაშიც, წლის განმავლობაში მოსწავლეთა ცენტრში დიპლომებით, სიგელებით 203, ფასიანი საჩუქრებით (წიგნები) დაჯილდოვდა 60 მოსწავლე.		
მოსალოდნელი შედეგი	თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა , მოსწავლეთათვის საინტერესო, სასწავლო-შემეცნებითი და გასართობი ატმოსფეროს შექმნა, პროგრამების, აქტივობების, ღონისძიებების განხორციელებაში მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა, მათი უნარების, შემოქმედებითი ნიჭის , პოტენციალის რეალიზებისათვის სათანადო გარემოს შექმნა, ინციატივების, წამოწყებების მხარდაჭერა. საბავშვო ცოდნის მიწოდება და საზოგადოებაში ინტეგრირების, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.		



## მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1625,0 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამები/ ქვეპროგრამები/ და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1 625,0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	540,0
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	40,0
05 01 02	სპორტული სკოლა	500,0
05 02	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	950,0
05 02 01	სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	221,0
05 02 02	სახელოვნებო სკოლები	225,0
05 02 03	ბიბლიოთეკები	115,0
05 02 04	კულტურის სახლები	317,0
05 02 05	მუზეუმები	72,0
05 03	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	50,0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	30,0
05 05	საგამომცემლო საქმიანობა	55,0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	დაფინანსება
			ათას ლარში
	<b>05 01 01</b>		<b>40,0</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება		
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> <li>ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.</li> <li>წარმატებულ სპორტსმენთა გამოვლენა.</li> </ul> მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები		





ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>სპორტული სკოლა</b>	დაფინანსება
			ათას ლარში
	<b>05 01 02</b>		<b>500,0</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი,,		
ქვეპროგრამის აღწერა	სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი აერთიანებს 12 სპორტულ მიმართულებას, ესენია: ფეხბურთი (50 ბავშვი); ქართული ჭიდაობა (12 ბავშვი);თავისუფალი და ბერძნულ-რომაულიჭიდაობა (46 ბავშვი); სამბო (24ბავშვი), მიუდო (30ბავშვი),რაგბი (25ბავშვი); ტანვარჯიში (36 ბავშვი); უშუ (12ბავშვი), კინგბოქსი (17 ბავშვი); კარატე (12 ბავშვი);ჭადრაკი (51 ბავშვი); კალათბურთი (15 ბავშვი) .სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 330 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ. სპორტულ ცენტრში დასაქმებულია სულ 69 კაცი, მათ შორის, 47 ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი და 22 მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას დებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში, როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე , საზღვარგარეთ.		
